



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარდი ეთერბეთოვანი



thumb|none|220px|დამასკური ვარდი (Rosa damascena)
thumb|none|220px|ასფურცელა ვარდი (Rosa centifolia)

ვარდი ეთერბეთოვანი, მრავალწლოვან მცენარეთა ჯგუფი ვარდისებრთა ოჯახისა. მისი სამშობლოა ირანი. 1,5 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. აქვს ეკლიანი ღერო, რთული ფოთოლი, ბუთხუბა ყვავილი – ვარდისფერი, თეთრი ან წითელი, ყვავილედად შეკრებილი ქოლგა. ცნობილია 500-მდე სახეობა.

გავრცელებული სახეობებია: დამასკური (R. damascena), ფრანგული (R. gallica) და ასფურცელა (R. centifolia) ვარდები, რ-თაგან პოპულარულია დამასკური ვარდი (კაბანლიკურის წინაპარი), ყირიმის წითელი ვარდი და სხვ.

საქართველოში პირველი პლანტაცია გაშენდა 1897. გავრცელებულია თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, აბაშის მუნიციპალიტეტებში. 1 ჰა იძლევა 2-5 ტ ყვავილის მოსავალს, რ-ისგანაც მიიღება 1,5-2 კგ ეთერბეთი. იყენებენ პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, კვების მრეწველობასა და მედიცინაში.

ი. ლეკვიშვილი